



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
„გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 7-8 აპრილი, 2021 წელი
დასკვნის წარდგენის თარიღი: 8 ივნისი, 2021 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მეცნიერებათა მაგისტრი ბიოქიმიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბიოქიმია - 0512
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №101, 17.10.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ლაჭავა (სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ქუჩუკაშვილი (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელინა ბაქრაძე (სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ აბულაძე (ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო)

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებიც აღჭურვილები იქნებიან გამოყენებითი ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიების დარგში არსებული თანამედროვე ცოდნითა და მეთოდებით, შეძლებენ შეისწავლონ ფუნდამენტური ბიოლოგიური პროცესები მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე და იქნებიან მომზადებულები კვლევაზე ორიენტირებული კარიერისთვის როგორც აკადემიურ, ასევე ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის სექტორში. მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ სტრუქტურა განისაზღვრა შემდეგი სახით:

სულ მოცულობა 120 კრედიტი. აქედან:

- სავალდებულო სასწავლო კურსები - 66 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები - 24 კრედიტი

სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „მეცნიერების მაგისტრი ბიოქიმიაში“ .

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: აკადემიურ, სახელმწიფო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ასევე, კერძო სექტორში: ბიოტექნოლოგიურ საწარმოებში, ფარმაცევტულ კომპანიებში, ფარმაკოლოგიური პრეპარატების ხარისხის კონტროლის ლაბორატორიებში, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, კრიმინალისტიკურ და დიაგნოსტიკურ ლაბორატორიებში. შესაძლებელია, აგრეთვე, გააგრძელოს სწავლა დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრირებით.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 3 21 0000132621) მიხედვით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ სააკრედიტაციო შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად განხორციელდა დისტანციურად მიმდინარე წლის 7 და 8 აპრილს. ვიზიტამდე დისტანციურად ჩატარა მოსამზადებელი შეხვედრა და ჯგუფის წევრებმა ერთმანეთში გაცვალეს უსდ-ს მიერ გადმოგზავნილი მასალების გაცნობის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებები, ჩამოაყალიბეს საკითხები და სავარაუდო კითხვების ჩამონათვალი/საინტერესო საკითხები, რომლებიც გარკვეული იქნებოდა ვიზიტის დღეს სხვადასხვა ჯგუფებთან გასაუბრებისას, ასევე ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

7 და 8 აპრილს აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა დღის წესრიგის დაცვით ექსპერტთა სრული შემადგენლობით და დისტანციურ რეჟიმში (Zoom-ის გამოყენებით). ორი დღის განმავლობაში სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა და უსდ-ს მხრიდან უზრუნველყოფილი იყო პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, რათა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან: 1.1. კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 1.2 კომპონენტი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან: 2.3, 2.4, 2.5 კომპონენტები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.1, 2.2 და 2.6 კომპონენტები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

2.1. რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით „სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის/ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი კვალიფიკაცია ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებული მეცნიერებების, ქიმიური მეცნიერებების ან ჯანდაცვის სფეროებში“

2.2. რეკომენდირებულია სავალდებულო სასწავლო კურსში „ბიოტექნოლოგიური მიდგომები“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა და ისწავლებოდეს სხვადასხვა ბიოტექნოლოგიურ ინდუსტრიასთან და წარმოებებთან დაკავშირებული საკითხები.

2.6. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მაგისტრანტის შეფასების წესი შესაბამისობაში მოვიდეს განათლების მინისტრის მე-3 ბრძანების მე-19 მუხლთან.

რჩევები

1.2. სასურველია მოხდეს პროგრამის მიზნის ჩაშლა რამდენიმე ნაწილად და პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის აგება.

2.2. სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსს „გამოყენებითი ბიოქიმიის თანამედროვე მეთოდები, ომიკ-ტექნოლოგია და ბიოეთიკა“ გამოეყოს არჩევითი სასწავლო კურსის სახით „ომიკ-ტექნოლოგია“;

2.2. სასურველია არჩევითი სასწავლო კურსი „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის“ გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი;

2.2. სასურველია გაიზარდოს ლაბორატორიული მუშაობების რაოდენობა სავალდებულო სასწავლო კურსებში

2.6. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრები იმგვარად, რომ სტუდენტს ჰქონდეს განმეორებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და სილაბუსებში მიეთითოს რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ გადალახავს შუალედური შეფასებისთვის განკუთვნილ მინიმალურ ზღვარს.

2.6. სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ამოღებული იყოს შეფასების სისტემაში არსებული ჩანაწერი „დასკვნითი შეფასება არის კურსის სავალდებულო კომპონენტი“.

4.3 სასურველია უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს მაღალტექნოლოგიური თანამედროვე ხელსაწყო - დანადგარებით, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, და უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის აღნიშნულ ხელსაწყოებთან ხელმისაწვდომობა.

5.3. სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტი ყურადღებით გადაამოწმოს საგანმანათლებლო პროგრამა და მისი თანმხლები დოკუმენტები.

შენიშვნა: ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად გაითვალისწინა ინსტიტუციის პოზიცია 1.2. კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან „რეკომენდებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება „მეცნიერებათა მაგისტრი ბიოქიმიაში“ გასწორდეს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მუხლი 4-ის - კვალიფიკაციების დასახელებები მიხედვით“ დაკავშირებით და რეკომენდაცია ამოიღო დასკვნიდან.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედმა სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამამ (ეკოლოგია, მოლეკულური ბიომეცნიერებები, ბიოფარმაცია, ნეირომეცნიერებები) აკრედიტაცია მოიპოვა 2011 წელს. პროგრამა აერთიანებდა 4 მიმართულებას და მაგისტრის ხარისხს ანიჭებდა შესაბამისად 4 განსხვავებული მიმართულებით. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროგრამა მოდიფიცირდა და მასში შემავალი ოთხი მიმართულება დაიყო სამ დამოუკიდებელ პროგრამად. ერთ-ერთია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“, რომელიც ჩამოყალიბდა 2011 წელს აკრედიტებული პროგრამის ბიოფარმაციის მიმართულების საფუძველზე, რადგან აღნიშნული მიმართულების მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდიოდა დეტალური სფეროს „0512 ბიოქიმია“ აღმწერთან და იძლეოდა კვალიფიკაციის „მეცნიერების მაგისტრი ბიოქიმიაში“ მინიჭების შესაძლებლობას.

რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების სილაბუსები და სასწავლო რესურსები დარგში თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით. პროგრამაზე მუშაობის პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მნიშვნელოვანი იყო უცხოელი კოლეგების მიერ გაკეთებული გარე შეფასებები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის მთავარი პრინციპია კვლევის და სწავლების ინტეგრაციით ახალი ვალიდური ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლისა და საზოგადოების განვითარებისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტურია და მიღწევადი. პროგრამის მიზანია ისეთი კურსდამთავრებულების მომზადება, რომლებიც აღჭურვილები იქნებიან გამოყენებითი ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიების დარგში არსებული თანამედროვე ცოდნითა და მეთოდებით, შეისწავლიან ფუნდამენტურ ბიოლოგიურ პროცესებს მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე და იქნებიან მომზადებულები კვლევაზე ორიენტირებული კარიერისთვის როგორც აკადემიურ, ასევე ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის სექტორში.

სასურველი იქნებოდა პროგრამის მიზანი დაიყოს რამდენიმე ნაწილად, რაც პროგრამის მიზნების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის აგებას გახდის შესაძლებელს (აღნიშნულთან დაკავშირებით რჩევა გაცემულია 1.2. კომპონენტში).

პროგრამის მიზანი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევების განყოფილებამ ჩაატარა ფოკუს-ჯგუფი პოტენციურ დამსაქმებლებთან, კერძოდ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო გ. ელიავას ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ი. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის, მემბრანოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა, თსუ-ს ვლ. ბახუტაშვილის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის, ოქსიდაციური პროცესების ბიოფიზიკური ლაბორატორიის თემის ხელმძღვანელმა, ევროპის უნივერსიტეტის, მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დამსაქმებელთა მოსაზრებების შესწავლა პროგრამის შესახებ. კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ სამაგისტრო პროგრამას და გამოეთქვათ მოსაზრებები პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სტრუქტურის, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ. დამსაქმებლების მიერ პროგრამის ყველა კომპონენტი შეფასდა დადებითად. დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს კვლევებში მონაწილეობა და უსდ-სთან აქტიური თანამშრომლობა.

რაც შეეხება საერთაშორისო ტენდენციებს, პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ განხილული იყო უცხოური ანალოგები. კერძოდ, „წმინდა იოანეს უნივერსიტეტში“ (აშშ) წარმოდგენილია სამაგისტრო პროგრამა - ბიოლოგიური და ფარმაცევტული ბიოტექნოლოგია; „გენტის უნივერსიტეტში“ (ბელგია) წარმოდგენილია სამაგისტრო პროგრამა - ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის მეცნიერების მაგისტრის; „ამსტერდამის უნივერსიტეტში“

<p>(ნიდერლანდები) გვხვდება - სამედიცინო ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის პროგრამა; და სხვა. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი თავად აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო დონის კვლევით პროექტებში და კარგად იცნობს სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს.</p> <p>სამაგისტრო პროგრამა თანხვედრაშია დარგში და დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან, რაც დასტურდება 2015-2020 წლებში პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლით (დასაქმებულია 85%, აქედან 75% სპეციალობით). კურსდამთავრებულთა 15%-მა სწავლა გააგრძელა მომდევნო საფეხურზე - დოქტორანტურაში.</p> <p>ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის მიზნების შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია, რადგან ის განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.iliauni.edu.ge) და ელექტრონულ სისტემაში „არგუსი“.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2 • საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული • გეგმა • საგანმანათლებლო პროგრამა • დამსაქმებლების კვლევა • კურსდამთავრებულების კვლევა • უცხოური ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების სია • ინტერვიუების შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიები“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ სწავლის სფეროს შინაარსს (0512 ბიოქიმია).</p> <p>სასურველი იქნებოდა პროგრამას ახლდეს პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან კავშირის რუკა. აღნიშნული რუკის შექმნისთვის სასურველია პროგრამის მიზანი დაიყოს რამდენიმე ნაწილად და თითოეულთან მიმართებაში განისაზღვროს კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან.</p>
--

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „მეცნიერების მაგისტრი ბიოქიმიაში“.

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიები“ სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართული იყო პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პირებმა უზრუნველყო დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ასევე მოხდა თურქეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, ევროპის ბიოქიმიურ საზოგადოებათა ფედერაციის საგანმანათლებლო კომიტეტის თავჯდომარის, იზმირის ბორნოვას უნივერსიტეტის პროფესორის, დოქტორ ფერჰან საგინის მიერ. მან დადებითად შეაფასა პროგრამის მიზნები, შედეგები, სტრუქტურა, ცალკეული სასწავლო კურსის მნიშვნელობა და მათი განხორციელების ფორმები.

ამასთან ერთად, პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული იყო საერთაშორისო პრაქტიკაც.

უსდ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის იყენებს პროგრამის განხორციელების შეფასების წესსა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას. განახლებული სამაგისტრო პროგრამის ამოქმედებისთანავე დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი მეთოდის შემთხვევაში მონაცემების შეგროვება მოხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამის შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით, ასევე სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის განხორციელებით. არაპირდაპირი მეთოდით შეფასებისას გამოყენებული იქნება პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთან ფოკუს ჯგუფების გამოკითხვების შედეგები.

პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით შეგროვებული და გაანალიზებული მონაცემები აისახება სამაგისტრო პროგრამის პერიოდულ შიდა თვითშეფასების ანგარიშში და გამოყენებულ იქნება პროგრამის გაუმჯობესებისთვის, კერძოდ, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებისთვის და სხვა.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ პროგრამაზე მუშაობის პერიოდში პროგრამის სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და შეფასების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა კონსულტაციები და დახმარება მიიღო პროგრამის კურიკულუმის ექსპერტისგან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისგან. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია პროგრამის შეფასების საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდული, რომელსაც ახორციელებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და რეკომენდაციას აძლევს პროგრამის ხელმძღვანელებს და სამუშაო ჯგუფს პროგრამის სწავლის შედეგების სწორად ჩამოყალიბებასთან და შეფასებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ახლავს კურიკულუმის (პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსებთან კავშირის) რუკა, რომლის მიხედვითაც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა, სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა

<ul style="list-style-type: none"> • სტუდენტების, კურსდამთვრებულებისა და დამსაქმებლების კვლევის შედეგები • უცხოელი პროფესორის მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასება • სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები • უცხოური ანალოგი საგანმანათლებლო პროგრამების სია • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია • პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები • კადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია მოხდეს პროგრამის მიზნის ჩაშლა რამდენიმე ნაწილად და პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის აგება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩარიცხვას. სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის საფუძველზე. უსდ-ს განსაზღვრული აქვს აღნიშნულ პროგრამაზე შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის ჩატარების პირობები და შეფასების სისტემა, რომლის მიხედვით ყურადღება ექცევა სტუდენტის მოტივაციას, ზოგადი ბიოლოგიისა და ბიოქიმიის ცოდნას, ასევე ინგლისური ენის დარგობრივ ცოდნას B1 დონეზე. ზეპირი გამოცდა ტარდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ისაუბრეს როგორ მოხდა სამაგისტრო პროგრამაზე მათი ჩარიცხვა და აღწერეს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის ჩაბარების პროცესი.</p> <p>კურიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებულია შემდეგი „სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს სასურველია, ჰქონდეს ბაკალავრის/ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი კვალიფიკაცია ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებული მეცნიერებების, ქიმიური მეცნიერებების ან ჯანდაცვის სფეროებში“. ვფიქრობთ პროგრამის სპეციფიკურობიდან, შინაარსიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს დარგის შესაბამისი ან მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში აკადემიური ხარისხი და სიტყვა „სასურველი“ უნდა ამოვიდეს წინაპირობიდან. სხვა შემთხვევაში პროგრამაზე ჩაბარებულ დარგის (ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები, ქიმიური მეცნიერებები ან ჯანდაცვის სფერო) არასათანადოდ მცოდნე სტუდენტს, გაუჭირდება პროგრამის დაძლევა. რადგან პროგრამა რეალურად უშვებს „ბიოქიმიკოსებს“, რომლებსაც შესწავლილი ექნებათ ფუნდამენტური ბიოლოგიური პროცესები მოლეკულურ და უჯრედულ დონეზე, ამ ყველაფრის ათვისება კარგი საბაზისო ცოდნის გარეშე ნაკლებ რეალისტურია.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯარო და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია პროგრამის მიღების პირობების შესახებ იდება უნივერსიტეტის და შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე. გარდა ამისა, დაწესებულება ატარებს მაგისტრანტობის მსურველებთან საინფორმაციო შეხვედრებს და „ღია კარის დღეს“.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი • შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის პირობები და შეფასების სისტემა • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით</p>

„სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის/ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი კვალიფიკაცია ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებული მეცნიერებების, ქიმიური მეცნიერებების ან ჯანდაცვის სფეროებში“
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების გამოყენებით. პროგრამაზე მუშაობისას გათვალისწინებული იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა).</p> <p>პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ სწავლის სფეროს შინაარსს (0512 ბიოქიმია). პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „მეცნიერების მაგისტრი ბიოქიმიაში“ (კვალიფიკაციის აღნიშნული ფორმულირება უნდა გასწორედეს იხ. 1.2 კომპონენტი).</p> <p>პროგრამამ მოდიფიკაცია განიცადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ ნ ბრძანების დანართი 1 - ით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და ამ ბრძანების დანართი 2 - ით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაძლებელს ხდის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შემდეგია: მოცულობა 120 კრედიტი. აქედან:</p> <ul style="list-style-type: none"> • სავალდებულო სასწავლო კურსები - 66 კრედიტი
--

- არჩევითი სასწავლო კურსები - 24 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კურსებისთვის გათვალისწინებული 24 კრედიტიდან 6 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სასწავლო კურსი როგორც სამაგისტრო პროგრამიდან „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“, ასევე სხვა სამაგისტრო პროგრამიდან.

პროგრამა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს საჭიროების შემთხვევაში კრედიტების გარეშე გაიაროს საბაკალავრო პროგრამიდან სასწავლო კურსები.

ვფიქრობთ, რომ პროგრამის სტრუქტურაში სასურველია განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1) სავალდებულო სასწავლო კურსში „ბიოტექნოლოგიური მიდგომები“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა და მოდიფიცირდეს შინაარსი. კურსის მიზანია: „ღრმად და კომპლექსურად შეასწავლოს სტუდენტებს ბიოტექნოლოგიის ძირითადი პრინციპები და მიდგომები, გენური ინჟინერიის მეთოდოლოგია და ტექნიკური ხერხები, ბიოტექნოლოგიური პროდუქტებისა და მეთოდების მნიშვნელობა და გამოყენება ფარმაცევტიკაში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობასა და ეკოლოგიაში.“ აღნიშნული მიზნები იმდენად კომპლექსურია, რომ არსებული საკონტაქტო საათებით (უშუალოდ ლექცია - სემინარზე სულ 26 სთ) ამ ყველაფრის სრულად მოცვა საკმაოდ ძნელია. ასევე ბიოტექნოლოგიის პრინციპების და მიდგომების ცოდნის ათვისებისთვის მნიშვნელოვანია მიკრობიოლოგიის კარგი ცოდნა, განსაკუთრებით საწარმოო მიკრობიოლოგიის საკითხების. ინტერვიუს დროს კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მიკრობიოლოგიის ცოდნა და შესაბამისი ლაბორატორიული უნარ-ჩვევების გამომუშავება სასურველია, რადგან ეს ცოდნა მათ გამოადგებოდათ სპეციფიკურ საწარმოებში მუშაობისას. ასევე სასურველია, რომ არსებულ კურსში ან უმჯობესია ცალკე კურსად (თუნდაც არჩევით კურსად) ისწავლებოდეს სხვადასხვა ბიოტექნოლოგიურ ინდუსტრიასთან და წარმოებებთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ფარმაცევტული ბიოტექნოლოგიური საწარმოების მუშაობის პრინციპები, სტანდარტები და სხვა, უშუალოდ საწარმოო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. მითუმეტეს, რომ პროგრამის მიზანია: „მომზადდეს კურსდამთავრებულები, რომლებიც..., იქნებიან მომზადებულები კვლევაზე ორიენტირებული კარიერისთვის როგორც აკადემიურ, ასევე ბიოტექნოლოგიური ინდუსტრიის სექტორში“;

2) სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსს „გამოყენებითი ბიოქიმიის თანამედროვე მეთოდები, ომიკ-ტექნოლოგია და ბიოეთიკა“ გამოეყოს არჩევითი სასწავლო კურსის სახით „ომიკ-ტექნოლოგიები“. აღსანიშნავია, რომ კურსის სათაურში გამოტანილია „ომიკტექნოლოგია“, რომელიც მართლაც თანამედროვე მიმართულებაა და მოიცავს საკმაოდ ფართო სფეროებს, მათ შორის: Genomics; Epigenomics; Lipidomics; Proteomics; Glycomics; Foodomics; Transcriptomics და სხვ. და ვფიქრობთ ამ საკითხების მთლიანად მოცვა ამ კურსში საკმაოდ ძნელია და არც კურსის მიზანში და შედეგებში არ არის ნახსენები მათი სწავლება და გაშლა. შესაბამისად სასურველია, თუ მოხდება კურსის ამ ნაწილის ცალკე საგნად გატანა და არჩევითი კურსის სახით შეთავაზება სტუდენტებისთვის. შესაბამისად სასურველია, თუ მოხდება კურსის სათაურის კორექტირება და ამ ნაწილის (ომიკტექნოლოგია) ცალკე საგნად გატანა და არჩევითი კურსის სახით შეთავაზება სტუდენტებისთვის.

მოცემულ კურსში კარგად და ნათლადაა გაწერილი ლაბორატორიული და სრულიად საკმარისია იმ მიზნის მისაღწევად, რაც აქვს საგანს: „სტუდენტს მისცეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბიოტექნოლოგიის და ბიოქიმიის თანამედროვე აპარატურისა და კვლევის მეთოდების შესახებ“. მკაფიოდ არ ჩანს, ლაბორატორიული/პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით რამდენად მომზადებული სტუდენტი მოდის ამ საგანზე, რომ თავისი ხელით იმუშაოს ლაბორატორიულზე და აითვისოს ეს თანამედროვე მეთოდები. სასწავლო კურსის წინაპირობაა საგანი „სისტემების ბიოქიმია და მეტაბოლომიკა“, რომელსაც მხოლოდ 6

საათი აქვს ლაბორატორიული მუშაობებისთვის დათმობილი (რამდენად საკმარისია ეს დრო) და სილაბუსში არ არის დაკონკრეტებული რა ტიპის სამუშაოები სრულდება პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის.

3) სასურველია სასწავლო კურსებში გაიზარდოს ლაბორატორიული მუშაობების რაოდენობა. ვინაიდან პროგრამა ორიენტირებულია გამოყენებითი კუთხით და ასევე, პოტენციურმა დამსაქმებლებმაც აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია, კარგი ლაბორატორიული პრაქტიკის და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კურსადამთავრებულები მივიდნენ მათ საწარმოებში/ლაბორატორიებში, შესაბამისად სასურველია, რომ გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოების წილი სავალდებულო კურსებში. აღნიშნული პროგრამით ისწავლება სამი ძირითადი კურსი, სადაც გაწერილია ლაბორატორიული სამუშაო. მათ შორის, ყველაზე დიდი წილი მოდის - „გამოყენებითი ბიოქიმიის თანამედროვე მეთოდები, ომიკტექნოლოგია და ბიოეთიკაზე“, 28 სთ უშუალო ლაბორატორიული სამუშაო, ხოლო დანარჩენ ორ საგანზე: „სისტემების ბიოქიმია და მეტაბოლომიკა“ და „მოლეკულური იმუნოლოგია“, 6 – 6 საათია ლაბორატორიული და მათ სილაბუსებში არ არის გაწერილი რა ლაბორატორიული სამუშაოები სრულდება და რა უნარ-ჩვევებს განუვითარებს სტუდენტებს.

4) ასევე სასურველია, რომ არჩევითი სასწავლო კურსი „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის“ გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი. ვინაიდან ეს ცოდნა სტუდენტებს დაეხმარებათ სამაგისტრო სამუშაოების შესრულებისას მიღებული მონაცემების დამუშავებაში.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები თანმიმდევრულად და ლოგიკურადაა დალაგებული. საჭიროებიდან გამომდინარე, რამდენიმე სასწავლო კურსში განსაზღვრულია წინაპირობები.

პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). გათვალისწინებული იყო გარე და შიდა შეფასებით მიღებული რეკომენდაციები/რჩევები. მათ შორის აღსანიშნევია, რომ სამუშაო ჯგუფმა განიხილა არაერთი შეფასება და რეკომენდაცია, მათ შორის აღსანიშნავია იზმირის ბორნოვას უნივერსიტეტის პროფესორის, თურქეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, ევროპის ბიოქიმიურ საზოგადოებათა ფედერაციის საგანმანათლებლო კომიტეტის თავჯდომარის შეფასებები განახლებულ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა იზმირის უნივერსიტეტის პროფესორისა და ევროპის ბიოქიმიურ საზოგადოებათა ფედერაციის საგანმანათლებლო კომიტეტის თავჯდომარის შეფასებაზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი “აკადემიური წერა” განსაკუთრებით სასარგებლო იქნებოდა მაგისტრანტებისათვის. უცხოელი კოლეგა აღნიშნავდა, რომ ეს კურსი მნიშვნელოვან უნარებს გამოუმუშავებს სტუდენტებს ცოდნის ტრანსფერის კუთხით. ამიტომ ჯგუფის წევრებმა გადახედეს აკადემიური წერის სილაბუსის შინაარსს, მოახდინეს მოდიფიცირება და მიზანშეწონილად ჩათვალეს, გაეძლიერებინათ კურსი თეზისის დაწერის მხრივ.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია (კურიკულუმი) განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა
- და გაუქმების წესი და პროცედურები
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge

<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდირებულია სავალდებულო სასწავლო კურსში „ბიოტექნოლოგიური მიდგომები“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა და ისწავლებოდეს სხვადასხვა ბიოტექნოლოგიურ ინდუსტრიასთან და წარმოებებთან დაკავშირებული საკითხები.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია სავალდებულო სასწავლო კურსს „გამოყენებითი ბიოქიმიის თანამედროვე მეთოდები, ომიკ-ტექნოლოგია და ბიოეთიკა“ გამოეყოს არჩევითი სასწავლო კურსის სახით „ომიკ-ტექნოლოგია“; • სასურველია არჩევითი სასწავლო კურსი „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის“ გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი; • სასურველია გაიზარდოს ლაბორატორიული მუშაობების რაოდენობა სავალდებულო სასწავლო კურსებში
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.3. სასწავლო კურსი</p>
<ul style="list-style-type: none"> ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. ყველა სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია და განსხვავებულია სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათების რაოდენობა.</p> <p>შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ სასწავლო კურსში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა გამოვიყოფდით სასწავლო კურსს „ბიოტექნოლოგიური მიდგომები“, სადაც საკონტაქტო საათების რაოდენობა 32 სთ, ვფიქრობთ, რომ ის არ არის საკმარისი სასწავლო კურსის შედეგებზე გასასვლელად. გარდა ამისა, პროგრამას ჰქვია „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ აღნიშნული სასწავლო კურსი სავალდებულო საგნებს შორის ერთია რომელიც ბიოტექნოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს, ამიტომ ვფიქრობთ, რომ საკონტაქტო საათების რაოდენობა მასში უნდა გაიზარდოს და გადაიხედოს მისი შინაარსი. აღნიშნულ სასწავლო კურსთან მიმართებაში რეკომენდაცია გაცემულია 2.3. კომპონენტში.</p> <p>სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია სასწავლო კურსის დასახელება, ხანგრძლივობა, კრედიტების რაოდენობა, საათების განაწილება, გამახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სასწავლო</p>

კურსის მიზანი, ძირითადი თემები სწავლის შედეგები და კომპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი), შეფასების წესი, ლიტერატურა და სხვა რესურსები, თემატიკა კვირების მიხედვით. სილაბუსში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები. სასწავლო კურსების მიზნები კავშირშია სწავლის შედეგებთან, სწავლება - სწავლის მეთოდებთან და შეფასების სისტემასთან, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი კავშირშია პროგრამის მიზანთან.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ასევე ასახავს დარგში არსებულ მიღწევებს. ლიტერატურად სახელმძღვანელოებთან ერთად გამოყენებულია სამეცნიერო სტატიები, რომლებიც დაკავშირებულია სფეროში არსებულ უახლეს კვლევებთან და ასახავს ამ კვლევებით მიღებულ მნიშვნელოვან შედეგებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Analytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას, მათ შორის, არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან (ნებისმიერი კომპიუტერიდან ელექტრონული ანგარიშის მეშვეობით), რაც შემოწმდა და დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასების ფარგლებში უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერების დროს. სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ან რიდერების სახით არგუსზე, elearning სისტემაზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო კურსების ეფექტურობის შეფასების მექანიზმი და შესაბამისი კითხვარის გამოყენებით ყოველსემესტრულად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორცაა კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება პროგრამის შემადგენელი კომპონენტების გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- სწავლის შედეგების რუკა
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი <http://library.iliauni.edu.ge/chven-shesakheb/>
- საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ბიბლიოთეკები, ჟურნალები და სხვა - <http://library.iliauni.edu.ge/elibrary/sametsniero-bazebi/>
- უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი <http://elearning.iliauni.edu.ge>
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge
- კურსების შეფასების კითხვარი და მექანიზმი
- კურსების შეფასების კითხვარი და მექანიზმი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული

უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს დროს პროგრამის და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართული არიან ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარე კვლევით პროექტებში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და საშუალებას აძლევს მას განვითარებული უნარები გამოიყენოს სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის შესრულებისას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ლაბორატორიული უსაფრთხოების დებულება და შესაბამისი ინსტრუქცია, რომელსაც სტუდენტები ეცნობიან ლაბორატორიული სამუშაოს დაწყებამდე, რაც დადასტურდა ინტერვიუს დროს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. დებულების მიხედვით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტებზე შექმნილია ლაბორატორიული უსაფრთხოების კომიტეტი, რომელიც არის კოლეგიალური ორგანო, მის შემადგენლობაში შედიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის პროფესორები და მკვლევარები. რომლის დანიშნულებაც არსებული კვლევითი და სასწავლო ლაბორატორიების უსაფრთხოების წესების მონიტორინგი.

პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები „გამოყენებითი ბიოქიმიის თანამედროვე მეთოდები, ომიკ-ტექნოლოგია და ბიოეთიკა“ და „აკადემიური წერა“. შუალედური შეფასების ფორმები კვლევით პროექტის მომზადება და პრეზენტაციის მომზადება/წარდგენა ავითარებს ლიტერატურულ წყაროებთან მუშაობის, მიღებული მონაცემების დამუშავების, კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარებს. ტრანსფერულ უნარებს შორის ხაზგასასმელია აკადემიური კეთილსინდისიერების, სამეცნიერო ეთიკის და ბიოეთიკის ნორმების დაცვა და მათი მნიშვნელობის გაცნობიერება. სტუდენტებში ამ უნარის განვითარებას ადასტურებს სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე Turnitin სისტემის გამოყენებით შემოწმების პროცესი.

სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი, რომლის მიზანია სტუდენტს განუვითაროს ეთიკის ნორმების დაცვით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი. ის ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნასა და ამ ცოდნის შექმნის მიზნით კვლევის უახლესი მიდგომების და მეთოდების გამოყენებაზე. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს უვითარდება კვლევის შედეგების ეფექტური კომუნიკაციის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების ათვისებისა და კვლევით პროექტებში მონაწილეობით შექმნილი უნარების გამოყენებით სტუდენტს შეუძლია სამაგისტრო კვლევის დაგეგმვა ხელმძღვანელის რეკომენდაციების საფუძველზე და შემდგომში მისი დამოუკიდებლად განხორციელება საბოლოო შედეგების მიღწევით. კვლევის განხორციელებისას სტუდენტი ხელმძღვანელს წარუდგენს კვლევის პროცესის შესახებ პროგრესის ანგარიშებს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული კვლევითი აქტივობები და მიღწეული შედეგები. ამასთან, ანგარიშში სტუდენტი ახდენს კვლევითი პროცესის შეფასებას და განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს. აღნიშნული აღწერილია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში, საკითხის შესახებ ვრცლად ისაუბრეს ინტერვიუს დროს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა. სამეცნიერო ხელმძღვანელთა კომუნიკაციის და ერთობრივად დაგეგმილი კვლევითი

<p>აქტივობების მნიშვნელობასა და პროდუქტიულობაზე, დადებით მხარეებზე ისაუბრეს მაგისტრანტებმა და კურსდამთავრებულებმა. განსაკუთრებული აქცენტი კი გააკეთეს იმ კვლევით და ტრანსფერულ უნარებზე, გამოცდილებებზე, რომლებიც პროგრამაზე სწავლის პერიოდში შეიძინეს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები • სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია • ლაბორატორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული სწავლება/სწავლის მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სწავლება/სწავლის მეთოდები შეესაბამება საფეხურს (მაგისტრატურა), კურსის შინაარსს, სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს განსაზღვრული შედეგების მიღწევას.</p> <p>პროგრამაში გამოყენებულია სწავლება/სწავლის შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, ანალიზი და სინთეზი, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეთოდები, პროექტებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, დისკუსია/დებატები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, ხელმძღვანელობა/სუპერვიზია და სხვა.</p> <p>აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომლის მისიაა აკადემიური განათლებისა და კვლევის ხარისხის გაზრდა და ამ მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა და მკვლევართათვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა. ცენტრი პერსონალს სთავაზობს ტრენინგ-მოდულებს, მათ შორის სწავლება-სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში აკადემიურ პერსონალს დასჭირდა მეტი</p>

ინფორმაციის მიწოდება და საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარება სწავლება/სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხის შესაბამისი ტრენინგ მოდული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შეთავაზებული იყო აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მიერ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. ასეთი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლებისა თუ შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. აღნიშნული დაადასტურა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს.

აკადემიური პერსონალი მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს სტუდენტებთან შეთანხმებით. ეს შეიძლება იყოს ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად საოფისე საათების ფარგლებში. კონსულტაციისთვის გამოიყენება არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“ ან კორპორატიული ფოსტა. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ან მიიღონ უკუკავშირი წერით ნაშრომთან დაკავშირებით. ვიზიტის ფარგლებში აკადემიური წერის ცენტრის წარმომადგენლის მიერ ვრცლად იყო მოწოდებული ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები
- არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი <http://writingcentre.iliauni.edu.ge/>
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- ინტერვიუების (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან) შედეგები
-

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა, გამჭვირვალეობა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში შეფასების სისტემა შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან, გამჭვირვალეა და გამოიყენება ყველა სტუდენტთან მიმართებაში, პროცედურების დაცვით, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და იძლევა სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 2007.05.01). სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისგან. პროგრამა ითვალისწინებს 5 სახის დადებით და 2 სახის უარყოფით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს

ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების სისტემაში არის ჩანაწერი „დასკვნითი შეფასება არის კურსის სავალდებულო კომპონენტი“, თუმცა სტუდენტის მიერ სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება როგორც დასკვნითი, ასევე შუალედური შეფასებებით და ორივე კომპონენტში შეფასების მიღება სავალდებულოა. ამიტომ, ვფიქრობთ, აღნიშნული ჩანაწერი სილაბუსებიდან უნდა იყოს ამოღებული.

პროგრამის შემადგენელ თითოეულ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების გასაზომად განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები. თითოეული სასწავლო კურსში სტუდენტი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება). შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის და უნარების შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო ან/და ლაბორატორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობებზე. შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, მაგალითად, წერითი დავალების შესრულება, კვლევითი პროექტის წარდგენა, რეფერატის/პრეზენტაციის მომზადება და ა.შ.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს.

სასწავლო კურსებში შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრების ჯამი განსხვავებულია სილაბუსებში გაწერილ შეფასების სისტემებში. უმეტეს შემთხვევაში შეფასებებისთვის განსაზღვრული მინიმალური გადასალახი ზღვრების ჯამი აღემატება 41 ქულას და სტუდენტს აქვს განმეორებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, მაგრამ არის სასწავლო კურსები (მაგ: მოლექულური ბიოლოგიის რჩეული თავები, მოლექულური იმუნოლოგია, სისტემების ბიოქიმია და მეტაბოლომიკა, უჯრედული რეგულაციის ძირითადი პრინციპები და სხვა), სადაც ეს მაჩვენებელი 41 ქულაზე ნაკლებია

და სტუდენტს განმეორებით გამოცდაზე გასვლის საშუალება არ ეძლევა. სასურველი იქნება, თუ გადაიხედება სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრები იმგვარად, რომ სტუდენტს ჰქონდეს განმეორებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და სილაბუსებში მითითებული იქნება რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ გადალახავს შუალედური შეფასებისთვის განკუთვნილ მინიმალურ ზღვარს.

ინტერვიუს დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა განაცხადა, რომ შეფასების სისტემა (კომპონენტები და მეთოდები) ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და შეესაბამება სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება სწავლის შედეგების მიღწევადობით და აკადემიური მოსწრების ანალიზით. გარდა ამისა, შეფასება მრავალკომპონენტანია და თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია შეფასების კრიტერიუმები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის ერთ-ერთ მხარდამჭერ მექანიზმს წარმოადგენს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგ-მოდულები, ამ შემთხვევაში სწავლება-სწავლისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგ-მოდულები საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე არის შემუშავებული და მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სწორედ შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულია, რაც აკადემიურმა პერსონალმაც დაადასტურა. ასევე აღნიშნეს, რომ შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით მათთვის მნიშვნელოვანი იყო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და კურიკულუმის ექსპერტების მიერ გაცემული კონსულტაციები. უნდა ითქვას, რომ პროგრამის აკადემიური პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას თანამედროვე შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი შეფასების კომპონენტები, მეთოდები და თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები ცნობილია სტუდენტებისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსის” საშუალებით. გარდა ამისა, სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი პირველსავე ლექციაზე სილაბუსის გაცნობისას დეტალურად განიხილავს შეფასების სისტემას. აღნიშნული დაადასტურა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს და აღნიშნეს, რომ ლექტორის მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია არ ეხება მხოლოდ სილაბუსის ამ ნაწილს, ისინი გადიან კონსულტაციებს პროფესორებთან ყველა მათთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში სასწავლო კურსის მსვლელობის დროს წინასწარ შეთანხმების საფუძველზე, როგორ მცირე ჯგუფებად, ასევე ინდივიდუალურად და ამისთვის იყენებენ არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემას „არგუს“, ან საკონსულტაციო შეხვედრებს, ან კორპორატიულ ფოსტას და სრულყოფილად იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა დავალების შესრულების დროს მიღებულ შედეგებზე და რეკომენდაციებს შედეგების გაუმჯობესებისთვის.

ამასთანავე, როგორც წესი, ლექტორები უზრუნველყოფენ შეფასების უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას სტუდენტებისთვის, რაც მოქნილად ხორციელდება ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით და საშუალებას აძლევს სტუდენტს, თვალი ადევნოს და დროული რეაგირება მოახდინოს შედეგებზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესში გაწერილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში მოითხოვოს ნაშრომის გადახედვა. ინტერვიუების პროცესში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი ინფორმირებულები არიან შეფასების გასაჩივრების

პროცედურასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ.

უსდ-ს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, პლაგიატზე შემოწმების, რეცენზირების, დაცვის, შეფასების წესები და კომპონენტები თავისი შეფასების კრიტერიუმებით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ასპულიანი სისტემით. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 51-დან 100 ქულამდე დაგროვება. შეფასების კომპონენტებია: 1. ხელმძვანელის შეფასება (პროექტის გეგმა და პროგრესის ანგარიშები) - 20 ქულა; 2. რეცენზენტის შეფასება - 50 ქულა. (თუ რეცენზენტი ორია, მაშინ ამ კომპონენტის შეფასება საშუალო არითმეტიკულს წარმოადგენდეს); 3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - 30 ქულა (სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ქულა წარმოადგენს წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს). კონცეფციაში ასევე მითითებულია, თუ სტუდენტი აგროვებს 41-50 ქულამდე, მან ხელახლა უნდა დაიცვას ნაშრომი მიმდინარე სემესტრის დასრულებამდე და დაცვებს შორის მინიმალური პერიოდი უნდა იყოს მინიმუმ 10 დღე. თუმცა ეს ჩანაწერი სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში ეწინააღმდეგება განათლების მინისტრის მე-3 ბრძანების მე-19 მუხლს, რომლის თანახმად თუ მაგისტრანტი აგროვებს 41-50 ქულას, მას უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მაგისტრანტის შეფასების წესი შესაბამისობაში მოვიდეს განათლების მინისტრის მე-3 ბრძანების მე-19 მუხლთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი და კითხვარი. კვლევა ხორციელდება „არგუსის“ ელექტრონული გამოკითხვის მექანიზმის გამოყენებით. კვლევის სამიზნე ჯგუფს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები წარმოადგენენ და ხორციელდება ყოველ სემესტრულად, აკადემიური კალენდრით გათვალისწინებული საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე. სისტემა „არგუსი“ ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების გენერირებას და მათ ვიზუალიზაციას დიაგრამების სახით. აღნიშნული მონაცემები სტუდენტების გამოკითხვის შედეგებთან ერთად იძლევა სასწავლო კურსების მრავალხრივად შეფასების შესაძლებლობას. კვლევის შედეგები (სტუდენტების გამოკითხვის და მათი აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები), გამოიყენება ლექტორების, პროგრამის ხელმძღვანელების და ფაკულტეტების მიერ პროგრამის კომპონენტების/სასწავლო კურსების დახვეწასა და განვითარებისთვის, სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი -
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების განვითარების ცენტრის (TSDC) სამოქმედო გეგმა
- სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი და კითხვარი
- სტუდენტების გამოკითხვები, აკადემიური მოსწრების ანალიზი.
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მაგისტრანტის შეფასების წესი შესაბამისობაში მოვიდეს განათლების მინისტრის მე-3 ბრძანების მე-19 მუხლთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

<ul style="list-style-type: none"> • სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრები იმგვარად, რომ სტუდენტს ჰქონდეს განმეორებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და სილაბუსებში მიეთითოსცრა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ გადალახავს შუალედური შეფასებისთვის განკუთვნილ მინიმალურ ზღვარს. • სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ამოღებული იყოს შეფასების სისტემაში არსებული ჩანაწერი „დასკვნითი შეფასება არის კურსის სავალდებულო კომპონენტი“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა “გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია” ჩარიცხული სტუდენტის მხარდაჭერისათვის, უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცენტრი და დეპარტამენტი: აკადემიური წერის ცენტრი, სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი, სტუდენტური სერვის ცენტრი, საგარეო ურთიერთობების სამსახური და სხვა, ასევე სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა “არგუსი”.

უნივერსიტეტსა და ჩარიცხულ სტუდენტებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა აღწერილი პირობები და ორივე მხარის ვალდებულებები.

პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სწავლის პროცესში, შესაძლებლობა აქვთ შეხვდნენ პროგრამის ან კურსის ხელმძღვანელს. ასევე, პროგრამასთან და მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით სტუდენტებს შეუძლიათ კონსულტაცია გაიარონ ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან როგორც ყოველი სემესტრის დაწყებამდე, ასევე სემესტრის მიმდინარეობისას.

სტუდენტს ელექტრონული სისტემა „არგუსი“ საშუალებას აძლევს თვალყური ადევნოს საკუთარ აკადემიურ მიღწევებს, შეფასებებსა და კრედიტებს; დაამყაროს კომუნიკაცია და მიიღოს უკუკავშირი ლექტორისგან შუალედურში მიღებულ ქულასთან დაკავშირებით; აირჩიოს სასწავლო კურსები; ჰქონდეს წვდომა სასწავლო მასალასა და სილაბუსებზე; გაეცნოს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემას, მეთოდებს და კრიტერიუმებს; მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამებისა თუ სხვა დაგეგმილი ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ტრენინგები, სეზონური სკოლები, კონფერენციები და ა.შ.) შესახებ; შეაფასოს თითოეული სასწავლო კურსი.

უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური წერის ცენტრი ეხმარება სტუდენტებს აიმაღლონ აკადემიური უნარები. მაგ: ტუტორისაგან მიიღოს კონსულტაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე, დაესწროს სემინარებს, ისარგებლოს ონლაინ რესურსებით და ა.შ. კონსულტაციებზე და სემინარებზე რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში.

უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების სტუდენტებისათვის მიწოდებაზე პასუხისმგებელია სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი. დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და ხარისხის მართვის სამსახურთან, ისევე როგორც ფაკულტეტებთან/სკოლებთან. სტუდენტური სერვის ცენტრი კოორდინირებს უწევს სტუდენტების ინფორმირების გაზრდას კარიერული განვითარების მიმართულებით: მართავს დასაქმების ფორუმებს; აორგანიზებს სტუდენტურ პროექტებს, მასტერკლასებს და საჯარო ლექციებს; ქმნის და მუდმივად აახლებს დამსაქმებელთა ბაზას; სისტემატიურად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიებთან დაკავშირებით.

ასევე, ცენტრი მხარს უჭერს სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში, შესაბამისად - თანამშრომლობს სტუდენტურ ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან; აორგანიზებს საჯარო ლექციებს, დისკუსიებს, საზოგადოებრივ და ზამთრის სკოლებს; მხარს უჭერს სხვადასხვა სპორტულ და შემეცნებით აქტივობებს (მაგ: უნივერსიტეტში არსებობს მოლაშქრეთა კლუბი). სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერისთვის გამოყოფილია ბიუჯეტი პროექტების განხორციელებისა და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიზნით. საპროექტო განაცხადი წარედგინება სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს წერილობით ან ელექტრონულად კანცელარიის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. განცხადება იწერება ადმინისტრაციის უფროსის სახელზე, რომელიც განცხადებას განსახილველად გადაუგზავნის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს. განაცხადის განხილვა ხდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი, პროექტების განხილველი კომისიის მიერ.

სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრს შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა სტუდენტმა, საჭიროების მიხედვით. ცენტრში დასაქმებულები არიან ილიას ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები.

უნივერსიტეტის განვითარების სამსახური მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში; ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო კონკურსებისა და სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგარეო ურთიერთობების სამსახური, რომელიც

უზრუნველყოფს სტუდენტების სხვადასხვა გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში ჩართვას, მობილობის გაზრდა, სისტმატიურად აწოდებს მსგავსი შესაძლებლობების არსებობის შესახებ ინფორმაციას სტუდენტებს არგუსის, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელის საშუალებით, დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება მიიღონ ინდივიდუალური კონსულტაციები, სტუდენტებს ეხმარება საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
 - აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი
 - საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება -
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი iliauni.edu.ge
 - არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”
 - სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება -
 - სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი -
 - უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში -
 - უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამშრომლების პირადი საქმეები - ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში.
 - ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ სტუდენტი ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელს, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს პარტნიორ ორგანიზაციას (ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, ლუგარის კვლევითი ცენტრი, ბაქტერიოფაგი, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი და ა.შ).

მაგისტრანტის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უნდა იყოს პროგრამაში ჩართული პროფესორი;
- უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან დოქტორის (ან მათთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი შესაბამის დარგში და გააჩნდეს შესაბამისი საკითხებზე მუშაობის მინიმუმ 5 წლიანი სტაჟი.
- უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების დოქტორანტი, დაცული ჰქონდეს პროსპექტუსი ან გამოქვეყნებული ჰქონდეს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების

შესაბამისი პუბლიკაცია;

- იყოს შესაბამის დარგში ან დისციპლინაში მომუშავე მკვლევარი და გააჩნდეს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული შესაბამისი პუბლიკაციები უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში.

ხელმძღვანელის მოვალეობებია: რეგულარული კონსულტაციები მაგისტრანტებთან კვლევის დიზაინის, პროექტის მენეჯმენტისა და ნაშრომის წერის პროცესში; რეგულარული უკუკავშირი თემაზე მუშაობის პროცესში; მაგისტრანტების დახმარება სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში; წარმოადგინოს ნაშრომის შესახებ დასკვნა და შეფასება.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ექპერიმენტული კვლევისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ და ინტელექტუალურ რესურსს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ჩაატაროს კვლევა დამოუკიდებლად, წამოჭრას სფეროში არსებული აქტუალური პრობლემები და ეძებოს პრობლემის გადაჭრის გზები.

დაწესებულებაში ონლაინ ვიზიტისას აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გადაიხედა რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული სხვადასხვა წელს რამდენიმე პროფესორის ხელმძღვანელობით შესრულებული და სხვადასხვა შეფასებით. სამაგისტრო ნაშრომები შესრულებულია უნივერსიტეტში მოქმედი სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციის მიხედვით, მაღალ დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები
- სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები
- მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p>4.1 ადამიანური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან; პროფესორებს აქვთ საერთაშორისო სამეცნიერო რეპუტაცია და ფართო საერთაშორისო კოლაბორაციული ქსელი. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება უზრუნველყოფს დარგში თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების გამოყენებას მაგისტრების ეფექტური ხელმძღვანელობისთვის. პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო გრანტებში და ასევე, გააჩნია პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელთაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში; აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებით მათ შორის მაღალი იმფაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი სწავლების გარდა ჩართულია სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში;</p> <p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის კომპეტენტურობა ასევე ცხადყო, მათთან ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრამ.</p> <p>მაგისტრანტების რაოდენობა შეესაბამება აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვას; არსებული შეფარდება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და</p>

<p>გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით;</p> <p>სასწავლო კურსების სემესტრული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები დატვირთვისთან დაკავშირებით. შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში მათი დატვირთვის გადანაწილებისას დაცულია ბალანსი ზემოაღნიშნული ვალდებულებებისა და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის გათვალისწინებით. სწავლების გარდა, სწავლებაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი სტუდენტებს უწევს კონსულტაციას, რის შესახებაც ინფორმაცია მოცემულია სილაბუსებში.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას.</p> <p>პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, სასწავლო პროცესში.</p> <p>ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია და კომპეტენციები შეესაბამება მათ მიერ განსაზღვრულ ფუნქციებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები • აკადემიური პერსონალის პროგრამაში დატვირთვის სქემა • ინტერვიუების შედეგები • თვითშეფასების ანგარიში.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <p>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</p> <p>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
 უსდ-ში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს.

შეფასება მოიცავს მათი როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის განვითარებას, რაც აისახება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობით. უსდ რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს და ანალიზებს ამ შედეგებს, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას;

პროგრამაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს გაცვლით, საერთაშორისო და ადგილობრივ გრანტ-პროექტებში, კონფერენციებში, რაც ასახულია მათ მიერ წარმოდგენილ პერსონალურ მონაცემებში (cv). შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისას.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ჩართულია მიმართულების აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დაკომპლექტების პროცესში, რაც კონკურსის საფუძვლზე ხდება. კერძოდ, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები.

2017 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესების რეგულირებას. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით.

უნივერსიტეტში მეცნიერის პროდუქტიულობის შეფასება ანუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი საქმიანობის შეფასება ხორციელდება იმ შედეგებით, რასაც მიაღწია მოცემულ ვადაში.

უსდ ხელს უწყობს უცხოელი მკვლევრებისა და პროფესორების მოზილობას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- ინტერვიუების შედეგები
 - პროგრამის ბიუჯეტი.
 - თვითშეფასების დოკუმენტი.
 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, რომელიც აუცილებელია სასწავლო გარემოსთვის.</p> <p>სილაბუსებში მითითებული ყველა სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგები.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის და თანამშრომლებისათვის ადეკვატური გარემოს შესაქმნელად მოწყობილია თანამედროვე სალექციო ოთახები, ლაბორატორიები, გათვალისწინებულია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტები.</p> <p>ბიბლიოთეკაში შექმნილია სწავლისათვის შესაფერისი გარემო და აღჭურვილია თანამედროვე ლიტერატურით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით.</p> <p>უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ობიექტებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სამკითხველოს; • ჯგუფური მუშაობის სივრცეებს; • ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს; • კომპიუტერულ ოთახებს; • შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახს; • წიგნსაცავებს და სხვა. <p>განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებს უნივერსიტეტი სთავაზობს სერვისს. მათთვის ხელსაყრელ ფორმატში ბიბლიოთეკა ამზადებს სასწავლო მასალებს; გასულ წელს თითქმის სრულად ადაპტირდა სივრცე და შესაბამისად გაიზარდა რესურსებზე ხელმისაწვდომობა. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აქვს პირადი სამუშაო სივრცეები, რომლებიც გამოყენებული იქნება სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: http://library.iliauni.edu.ge/ • მატერიალური და ტექნიკური რესურსი; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს მაღალტექნოლოგიური თანამედროვე ხელსაწყო - დანადგარებით, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, და უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის აღნიშნულ ხელსაწყოებთან ხელმისაწვდომობა.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მისი ბიუჯეტი ფარავს საოპერაციო ხარჯებს პროგრამის განვითარებისათვის, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებს, პერსონალის ხარჯებს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა რელევანტურ ხარჯებს. ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე - ერთჯერადი. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას.

უნივერსიტეტის დაფინანსების დინამიკა ბოლო წლების განმავლობაში ინარჩუნებს სტაბილურობას.

უნივერსიტეტის ფინანსური რესურსი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტების ბიუჯეტი;
- ინტერვიუების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწყევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.“

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და პროგრამის განხორციელების შეფასების წესი. ამ ორი დოკუმენტის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, ხოლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შიდა და გარე მექანიზმები.

ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების, უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგლებში გამოიყენება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები. კვლევების შედეგები აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშებში, რომლებიც მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს კვლევის შედეგებს პროგრამის ხელმძღვანელებთან და პერსონალთან, რომლებიც პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ ხარისხის შეფასების შედეგებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა ხარისხის განვითარების ინსტრუმენტს წარმოადგენს პერიოდული შიდა თვითშეფასების ანგარიში, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში შეგროვებული მონაცემები, თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და პროგრამის განვითარებისთვის დაგეგმილი ღონისძიებები.

პროგრამის განვითარების დინამიკის და ტენდენციების გამოვლენის მიზნით, ყოველ მომდევნო საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ხდება შედეგების შედარება წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემებთან. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პერიოდული თვითშეფასების ანგარიშები საშუალებას აძლევს სამსახურს შეფასოს გაითვალისწინა თუ არა პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შიდა ხარისხის კვლევებით მიღებული შედეგები პროგრამის განვითარების პროცესში. ბოლო წლების შიდა თვითშეფასების ანგარიშებმა აჩვენა პროგრამის ხელმძღვანელების და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობა.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყო პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, სტუდენტები,

კურსდამთავრებულების, დამსაქმებები, ასევე ფაკულტეტის ადმინისტრაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია • სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები • პროგრამის განხორციელების შეფასების წესი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხის შეფასება
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება - აკრედიტაცია განხორციელდა 2011 წელს და უსდ-მ გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.</p> <p>დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება, რომელიც გააკეთა იზმირის ბორნოვას უნივერსიტეტის პროფესორმა, თურქეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ვიცე პრეზიდენტმა, ევროპის ბიოქიმიურ საზოგადოებათა ფედერაციის საგანმანათლებლო კომიტეტის თავჯდომარემ ფერჰან საგინმა.</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უცხოელი კოლეგების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება კარგი პრაქტიკაა. საერთაშორისო პარტნიორები საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას ძირითად აქცენტებს აკეთებენ საერთაშორისო ტენდენციებზე, განსაზღვრავენ პრიორიტეტებს და საკუთარ თავს ხედავენ პროგრამის განვითარების, სწავლების ნაწილშიც. უცხოელი კოლეგების მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამების განვითარების პროცესი კი ხდება სინქრონიზებული საერთაშორისო ტენდენციებთან და მოლოდინებთან.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები • უცხოელი პროფესორების მიერ გაკეთებული პროგრამის გარე შეფასებები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ითვალისწინებს სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების შესრულებას, პროგრამის მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. კვლევები ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით.

ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში მოცემულია სისტემური კვლევების რუკა და კვლევების განხორციელების ვადები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სტუდენტების, ლექტორების/სამეცნიერო პერსონალის კმაყოფილების კვლევა; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის, კვლევების შეფასება; პროგრამაზე მიღების შეფასება; სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა; მობილობის კვლევა; აკადემიური მოსწრების ანალიზი; კურსების/კომპონენტების შეფასება; დამსაქმებლის/პარტნიორის შეფასება; სტუდენტების დასაქმების კვლევა; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა. აღნიშნული კვლევებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარები და გამოკითხვისთვის იყენებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემას „არგუს“ ან ფოკუს ჯგუფებს.

კითხვარების ფორმები და ჩამოთვლილი კვლევების/შეფასებების შედეგები უსდ-ს წარმოდგენილი აქვს აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის თანმხლებ დანართებში. გამოკითხვებში მონაწილეობა ინტერვიუებზე დაადასტურა აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებელმა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარების მიზნით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად დამსაქმებლების გამოკითხვა მოხდა შემდეგ საკითხებთან მიმართებაში: კურსდამთავრებულთა კომპეტენციები, პროგრამის შესაბამისობა შრომით ბაზრის მოთხოვნებთან და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები, კვლევა განხორციელდა 2020 წელს და კვლევის შედეგების ანალიზი წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისი დანართის სახით. კვლევის შედეგები გამოყენებული იყო პროგრამის განვითარებისთვის.

აკადემიური პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების მიზნით უსდ ასევე ანხორციელებს პროგრამის შემადგენელი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების შეფასებას სტუდენტების გამოკითხვით. შეფასება ხდება კურსის ბოლოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. კვლევა

ხორციელდება არგუსის ელექტრონული გამოკითხვის მექანიზმის გამოყენებით. კვლევის სამიზნე ჯგუფს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები წარმოადგენენ.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების შეფასების და მისი შემდგომი განვითარების და გაუმჯობესების მიზნით უსდ-ში სისტემატიურად ტარდება სტუდენტების დასაქმების კვლევა. კვლევა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. პროგრამის შეფასების ეს მექანიზმი ინტერვიუს დროს აღწერილი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიერ და კვლევის მექანიზმი, გამოკითხვის ფორმა და კვლევის შედეგები წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტების სახით.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული მონიტორინგის, კვლევის შედეგები გამოიყენება როგორც შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და სამსახურების მიერ საკუთარი საქმიანობის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის.

განვითარების და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პერიოდულად ხდება საგანმანათლებლო პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, ასევე უცხოელი კოლეგების შეფასებების გამოყენება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვიზიტისას ისაუბრეს პროგრამის ხელმძღვანელებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა. პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ განხილული იყო უცხოური ანალოგები (სტოქჰოლმის უნივერსიტეტის, გენტის უნივერსიტეტის, ამსტერდამის უნივერსიტეტის). გარდა ამისა, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი თავად აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო დონის კვლევით პროექტებში და კარგად იცნობს სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის მონიტორინგით და პერიოდული შეფასებებით, წარმოებული კვლევებით მიღებული შედეგებით ხდება პროგრამის ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში განვითარებაზე ორიენტირებული ცვლილებების განხორციელება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროგრამა მოდიფიცირდა და მასში შემავალი ოთხი მიმართულება დაიყო სამ დამოუკიდებელ პროგრამად. ერთ-ერთია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“, რომელიც ჩამოყალიბდა 2011 წელს აკრედიტებული პროგრამის ბიოფარმაციის მიმართულების საფუძველზე, რადგან აღნიშნული მიმართულების მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდიოდა დეტალური სფეროს „0512 ბიოქიმია“ აღმწერთან. რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კურსების სილაბუსები და სასწავლო რესურსები დარგში თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით. პროგრამაზე მუშაობის პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მნიშვნელოვანი იყო უცხოელი კოლეგების მიერ გაკეთებული გარე შეფასებები.

რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას პირველ (1.2 კომპონენტში) და მეორე (2.6 კომპონენტში) სტანდარტში გაცემული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტი ყურადღებით გადაამოწმოს საგანმანათლებლო პროგრამა და მისი თანხლები დოკუმენტები.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია • კვლევის ინსტრუმენტები და კვლევის შედეგების ანგარიშები • პროგრამით კმაყოფილების კვლევის მექანიზმი და კვლევის შედეგები. • პროგრამის განხორციელების შეფასების წესი • ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტი ყურადღებით გადაამოწმოს საგანმანათლებლო პროგრამა და მისი თანმხლები დოკუმენტები.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
 სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
 „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნ. ლაჭავაძე

ნათია ლაჭავაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ზურაბ ქურუკაშვილი

ზურაბ ქურუკაშვილი

ელინა ბაქრაძე

ელინა ბაქრაძე

მარიამ აბულაძე

მარიამ აბულაძე